პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 9 ივლისი № 158 (17801) ფასი 2 კაპ.

საჰირო წინსვლა, საჰირო წინ ვიხედებოდეთ, საჰირო ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი.

XXVI სკკპ ყრილობის შესაბამისად

შრომის სადიდებლად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1981 წლის 23 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1981 წლის 22 იანვარს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის ყურადღების ცენტრშია. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენების დირსეული შეხვედრისათვის აქ უკვე კარგა ხანია ემზადებიან. მუშებმა, ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა, ტექნოლოგებმა, კონსტრუქტორებმა საწარმოს ადმინისტრაციაში და პარტიულ კომიტეტში შეიტანეს წინადადებები, რომლებშიც მითითებულია რა რეზერვების გამოძებნითა და გამოყენებით შეიძლება ახალი წინასაყრილობო მიჯნების დასახვა. სწორედ ამ წინადადებათა საფუძველზე ქარხნის კოლექტივმა ახალი, გაღიდებული ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტა წლის ბოლომდე დაამზადოს 350 ათასი მანეთის პროდუქცია — 100 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ამას წინანდელი ვალდებულება ითვალისწინებდა, მომავალი წლის ორი თვის გეგმა კი 23 თებერვლისთვის შესრულდება.

—მდიდარი რევოლუციური ტრადიციების ჩვენი ქარხნის კოლექტივი პირნათლად ხვდება კომუნისტთა დიდ ფორუმებს, — განაცხადა სოციალისტური შრომის გმირმა მჭედელმა კ. ილურიძემ. — საწარმომ ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა და უმატა შრომის ტემპს. 12 ივლისს ჩვენი შრომის საღიდებლად საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე წითელი ალმი აღიმართება. ყველაფერი გაკეთდა და კეთდება იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის შედეგები უფრო დამაჯერებელი გახდეს.

გაეცანი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საქართველოს კომპარტიის მორიგი XXVI ყრილობის 1981 წლის 22 იანვარს მოწვევის შესახებ. ცხადია, წინა ყრილობიდან დღემდე საქართველოს მრეწველობამ, ეკონომიკამ საერთოდ არნახულ მწვერვალებს მიაღწია, — გვეუბნება სამგზავრო-სავაგონო საამქროს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. კუპრაძე. — ვამაყობ, რომ მის აღმავლობაში ჩვენც შევიტანეთ გარკვეული წელილი. ჩვენი ქარხანა — რესპუბლიკის უძველესი საწარმო მეორედ იბადება. მწყობრში ჩადგა განახლებული საინსტრუმენტო, მექანიკური, ელექტროსაქციების, ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი საამქროები. მთავრდება ფრიკების და გოგორწყვლების საამქროს რეკონსტრუქციაც. მეთერთმეტე ხუთწლედში ქარხანა ერთ-ერთი უმძლავრესი გახდება მონათესავე საწარმოებს შორის და ოთხჯერ გაზრდის პროდუქციის გამოშვებას.

— ახალგაზრდა მუშები საწარმოს რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე ვიზრდებით, — ჩაერია საუბარში მომრავი შემადგენლობის მუხრუჭების შემკეთებელი ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ზ. ჯაობაშვილი. ქარხნის ახალგაზრდობამ გადაწყვიტა დაზოგილი მასალებით გეგმის გადამეტებით ორი ვაგონი შეაკეთოს, ერთი — მიმდინარე წლის ბოლომდე, ხოლო მეორე — სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის.

დიდი, ძალიან დიდი წარმატებებით ხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ელექტროვაგონშემკეთებლები. მარტო ის რად ღირს, რომ მათ ხუთწლედის განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულ 18,6 პროცენტის ნაცვლად 61,5 პროცენტით გაზარდეს. ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს ამ მიმართულებით მუშებმა, რომლებიც ახლა პირველნი დადგნენ წინასაყრილობო შრომითს ვახტს. ეი ისინიც: ბეინკალი თ. მახარობლიძე, ხარატი ა. ზარდიაშვილი, ზ. ფირცხალაშვილი, ბ. საგატელოვი, მჭედელი ტ. ტოკლაიკაშვილი, დურგლები ჯ. ფანქველაშვილი, ვ. კუპრაძე, ლ. კიკნაძე და მრავალი სხვა.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

სურათზე: სამგზავრო-სავაგონო საამქროს მოწინავე მუშა ვ. გოგიჩაიშვილი თავის ამხანაგებს აცნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შესახებ.

ჯ. ლომაძის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მისი გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში დასახული მითითებების შესრულებისა და პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის საქმეში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე 1980 წლის 7 ივლისს

I.

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტის ყოველი პლენუმი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში, ჩვენი ლენინური პარტიის ცხოვრებაში. და ამ მოვლენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც პლენუმი ყრილობის მოწვევის გადაწყვეტილებას იღებს. სწორედ ასეთი გახლდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმი, რომელმაც მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და მიიღო დადგენილება მოწვეულ იქნეს სკკპ მორიგი, XXVI ყრილობა 1981 წლის 23 თებერვალს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვთქვით, და დღეს გვინდა კვლავ გავიმეოროთ, რომ XXVI ყრილობისათვის მზადების და თვით ყრილობის ამოცანები ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა დაახასიათა მეცნიერულად, ღრმად, მსჯტაბურად და ლაკონურად, როგორც მას სჩვევია.

ყრილობების ისტორია — ეს, არსებითად, პარტიის ისტორიაა, ხოლო ყოველი ყრილობა საეპაპო მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, ყოველი ყრილობა ახალ ჰორიზონტებს უსახავდა ჩვენს პარტიასა და ქვეყანას. მომავალი ყრილობა მოწოდებულია უზრუნველყოს ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა კომუნისტური მშენებლობის ახალ ეტაპზე. დღეს მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ყრილობა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი გახდება კომუნისტური აღმშენებლობის, სოციალისტური ცივილიზაციის მონაპოვართა განზოგადებისა და დამკვიდრების გზაზე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილენი, მოსკოვიდან დაბრუნდით, და პლენუმის შთაბეჭდილებები ჯერ არ გაგვნელებია.

ჩვენი ერთსულოვანი აზრით, სკკპ ცენტრალურ კომიტეტის ივნისის პლენუმის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ლენინური სულისკვეთებით, ლენინური სტილით, ლენინური თანამიმდევრობითა და მიზანსწრაფვით. ეს გამოიხატა ყრილობის დღის წესრიგის პირველი საკითხის ფორმულირებითაც: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“, რომლის მომხსენებლადაც დამტკიცებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. უნებლიედ გვაგონდება ლენინის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძემ თქვა, რომ განვლილ წლებში ჩვენ კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შევიძინეთ. ამ წლებად იგი XXV ყრილობის შემდეგ გავლილ პერიოდს გულისხმობდა. და გაგახსენდა ლენინის მოწოდება, გაგვახსენდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომლითაც მან პარტიულ ორგანიზაციებს მიმართა რკპ (ბ) IX ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით. ამ წერილში ნათქვამია: „...საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული **პრაქტიკული გამოცდილება**“.

საქართველოს კომუნისტების სახელით, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ჩვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს აღვუთქვით, რომ **საქართველოს პარტიული ორგანიზაცია პირნათელი წარსდგება ყრილობაზე!** მოგეხსენებათ, რაოდენ პასუხსაგები განცხადებაა ეს.

იმის მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა პირნათელი წარსდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე, გვისახავს **პარტორგანიზაციის მთელი საქმიანობა, ჩვენი სახალხო მეურნეობის მუშაობის შედეგები ხუთწლედის ოთხი წლისა და დამამთავრებელი წლის განვლილი ექვსი თვის მანძილზე.**

ანალიზი მოწმობს, რომ წარმატებით სრულდება ხუთწლედის დავალებანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მთელი კომპლექსის მიხედვით.

რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი გასწრებით შეასრულა ოთხი წლის დავალება ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების, მოსახლეობის რეალური შემოსავლის, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების, საცალო საქონელბრუნვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის ძირითადი [illegible]

[illegible]

[illegible]

[

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

(გაგრძელება)

ნაო მშენებლობისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების 40 მილიონი მანეთი აუთვისებელი დარჩა. წლის დამდეგიდან გაიზარდა აგრეთვე დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, რომელმაც კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის 109 პროცენტს მიაღწია.

მიმდინარე წლის 58 უმნიშვნელოვანესი ასამოქმედებელი მშენებლობიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთი თვის გეგმა არ შესრულებულა 30 ობიექტზე, ანუ პრაქტიკულად ყოველ მეორე მშენებლობაზე. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს იმ საწარმოო ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ჩამორჩენა, სადაც იმპორტული მოწყობილობაა დადგმული. ასამოქმედებელი მშენებლობების საჭიროებებს შეუწყნარებელი ინერტულობით ეკიდება ზოგიერთი პარტიული კომიტეტი და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომი, რომლებიც არ ზრუნავენ მუშათა კადრებით მათი უზრუნველყოფისათვის.

ასამოქმედებელი მშენებლობების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას შედეგად მოსდევს დაგვიანებული ობიექტებისა და სიმძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგვიანება. ჩვენ ყოველწლიურად ვერ ვაბარებთ 450-500-ზე მეტ ობიექტს და იძულებული ვხდებით ხელახლა შევიტანოთ ისინი მომდევნო წლების გეგმაში. მარტო 1979 წელს სიმძლავრეთა უკმარამოქმედების გამო ჩვენ 60 მილიონამდე მანეთის მთლიანი პროდუქცია დავკარგეთ.

ასეთ, მე ვიტყოდი, ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას კაპიტალურ მშენებლობაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო!

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კაპიტალური მშენებლობის საკითხებს და ამიტომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც გარდავქმნით სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისადმი ხელმძღვანელობის სტილს. შედგენილი გვაქვს რეგლამენტი, თუ როგორ იმუშაონ ცენტრალური კომიტეტის დარგობრივმა განყოფილებებმა კაპიტალური მშენებლობის მართვისათვის. რეგლამენტის თანახმად, ცენტრალური კომიტეტის აპარატის თითოეული თანამშრომელი უნდა უზრუნველყოფდეს საქვეუწყებო ორგანიზაციების პარტიულ ხელმძღვანელობას და ნიადაგ ზრუნავდეს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ ლენინდ ილიას ძესთან საუბრის შემდეგ კიდევ უფრო ღრმად ჩავხედეთ საქმეს და დავრწმუნდით, რომ გვარიანად უცოდავთ. მაგრამ სცოდავს ზოგიერთი საკავშირო ორგანიზაციაც, განსაკუთრებით ცალკეული შემკვეთი სამინისტროები. იმედი გვაქვს, რომ ისინიც სხვაგვარად მიუდგებიან საქმეს.

ჩვენ ლენინდ ილიას ძეს აღვუთქვით, რომ რესპუბლიკა ანსოლუტურად მობილიზებულია კაპიტალური მშენებლობის დარგში მისი მითითებების შესრულებისათვის და რომ პარტიის ყრილობას ხელდამშვენებულნი შევეგებებით.

ქვეყნის, კერძოდ კი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ამჟამად ყველაზე „ვიწრო ადგილია“ მისი სატრანსპორტო უზრუნველყოფა. ცენტრალური კომიტეტისადმი მარათებში ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. ამის შესახებ ილპპრაკა მან ცენტრალური კომიტეტის პლენუმზეც. ეს გვავალებს ყურადღებით დავუკვირდეთ ჩვენი სატრანსპორტო ორგანიზაციების მუშაობას, უწინარეს ყოვლისა, ამიერკავკასიის რკინიგზის და საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, სოფლტექნიკისა და სხვათა მუშაობას.

ამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ მრავლად არის ნაკლოვანებანი, გადასაჭრელი პრობლემები. საკმარისია ითქვას, რომ ერთ ავტომობილტონაზე გაანგარიშებით საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მწარმოებლობის მხრივ რესპუბლიკას უკანასკნელი, მე-15 ადგილი უკავია ქვეყანაში და საშუალო საკავშირო დონეს 13 პროცენტით ჩამორჩება. მეათე ხუთწლედის მანძილზე ამ დარგში არავითარი საგრძნობი ძვრა არ მომხდარა.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა რკინიგზაზეც, სადაც არათუ ვერ მიაღწიეს ვაგონების ბრუნვის დაჩქარებას, არამედ შეანელეს კიდეც იგი 14 პროცენტით.

ამხ. თ. ნ. დავითაშვილისა და ამხ. ლ. გ. ვარდოსანიძისათვის ახალი ამბავი არ უნდა იყოს ის, რომ ტრანსპორტის აწყობილ, დიდმწარმოებლურ მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ, ალბათ, მოეხსენებათ, რომ ვაგონებისა და ავტომობილების სამუშაო პარკის მწარმოებლობის სულ ერთი პროცენტით გადიდება შესაბამისად ნახევარი მილიონი და მილიონ-ნახევარი ტონით ზრდის გადასაზიდი ტვირთის მოცულობას წელიწადში. ეს სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების უდიდესი რეზერვია და ჩვენც მთლიანად უნდა გამოვიყენოთ იგი.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მომავალ ხუთწლეულში რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებისათვის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს მარადა-ახალქალაქის ახალი ხაზისა და თბილისი-სამტრედიის უბანზე მეორე ლიანდაგის მშენებლობა, რასაც არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს.

უნდა ავამაღლოთ რკინიგზის მოძრაკი შემადგენლობისა და ჩაავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა, ვებრძოლოთ ვაგონების მოცდენას. საგზუნაროდ, ამ მოთხოვნას ანგარიშს არ უწევენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. შ. მ. ეცადაშვილი, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი, რუსთავის ქიმიური ქარხნის დირექტორი ამხ. გ. ტ. გოგოლაძე, ზოგიერთი სხვა იმ სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს ხელმძღვანელები, რომლებიც ვაგონების მოცდენის ზრდას ურიგდებიან, თუმცა, ამ საკითხზე არაერთხელ გვისაუბრია მათთან.

ბევრი მაჩვენებლის მიხედვით ქვეყანაში კვლავინდებურად ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ჩვენი კავშირგამბულობა, რომელიც რესპუბლიკის ერთ მუშაზე გაანგარიშებით გამომუშავების დონის მხრივ მეოთხედით და მეტად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ვერა და ვერ დაამყარეს კავშირგამბულობის მუშაკებმა ჯეროვანი წესრიგი რესპუბლიკის დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ და, უწინარეს ყოვლისა, თვით მინისტრმა ამხ. ვ. ი. კობახიძემ შეასუსტეს მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.

სერიოზული და რთული პრობლემები დგას ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე. ამ დარგში ჩვენ მნიშვნელოვან სახსრებს ვაბანდებთ. მისი საწარმოოტექნიკური პოტენციალი წლითიწლობით იზრდება. და მით უფრო საჭიროა რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველივე, რაც კი რამ შეგვიქმნია. **ამოცანა ის არის, რომ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება მაღალ უკუგებას გვაძლევდეს და, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობდეს სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას.**

ამ საქმეში ჩვენ უდავოდ გვაქვს დიდი წარმატებები. გვაქვს აგრეთვე ბევრი ნაკლი და ხარვეზი. ვერ არის დამაკმაყოფილებელი მთელი რიგი სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდის ტემპი, დაბალია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების — სახნავების, მრავალწლოვანი ნარგავების, საკვები სავარგულების გამოყენების ეფექტიანობა. ბევრ რაიონში, განსაკუთრებით მთაში, სახნავის შემცირების პროცესი მიმდინარეობს. ძალზე მცირეა დაშრობილი და გასარწყავებული მიწების უკუნგება.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაუდევრად, უაღრესად ცუდად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. პირობითი ეტალონური ტრაქტორის დღიური გამომუშავება ჩვენში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში. ასევე გვაქვს მარცვლასაღები კომბაინების გამოყენების მხრივაც.

გულახდილად ვთქვათ: მთელი რიგი მეურნეობების ხელმძღვანელები ანტისახელმწიფოებრივ მიდგომას იჩენენ, ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ, ჩაიგდონ ხელში ახალი ტექნიკა, არსებული ტექნიკის რიგიანი ექსპლოატაცია კი სულ არ ანაღვლებთ. საჭიროა ყველგან გავაჩაღოთ შეუპოვარი, გადამწყვეტი ბრძოლა, რაცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ჯეროვნად უვლიდნენ, კარგად ინახავდნენ, იცავდნენ მისი ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყველაზე აქტუალური საკითხია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლება ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომელიც ყველას ვერ შეუგნია. არადა, თუ მკვეთრად არ ავამაღლეთ სოფლის მეურნეობის გაძღოლის დონე, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა, ჩვენ ვერ გადაკეტრით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ პრობლემებს — ვერ მივაღწევთ იმას, რომ **დავიმკვიდროთ უფრო მოწინავე პოზიციები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, განუხრელად ვზარდოთ სურსათისა და სამრეწველო ნედლეულის წარმოება.**

სახელმწიფო ნიადაგ ზრუნავს ამ გლობალური ამოცანის გადასაწყვეტად, მაგრამ ამას ყოველთვის როდი მოსდევს ჯეროვანი შედეგი. მაგალითად, 1979 წელს მეცხოველეობის კომპლექსების სიმძლავრე ათვისებული იყო სულ 36 პროცენტით რძის მიყიდვის, 34 პროცენტით — საკონლის ხორცის, 51 პროცენტით — ღორის ხორცის მიხედვით და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ მეცხოველეობის კომპლექსებმა და მეფრინველეობის ფაბრიკებმა ხალხს 31 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სურსათი დააკლეს.

უდიდეს სახსრებს ახმარს სახელმწიფო საკვებწარმოების ინდუსტრიალიზაციას. აშენებულია სამასამდე საკვების საამქრო, საკვების სამზარეულო და საკვები მოედნები საქონლისა და ღორისათვის. მაგრამ ჩვენი ზოგიერთი მუშაკის მოუქნელობის გამო სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ადგილებზე ყოველივე ამას ძალზე ცუდად იყენებენ, სიმძლავრენი უმოქმედოდ არის. სახალხო მეურნეობის ამ დიდ დარგში ჯეროვანი სახელმწიფო ფესვრიგი უნდა დამყარდეს, მას მოწინავე პოზიციები უნდა დაუმკვიდროთ ქვეყანაში!

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჩვენ ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს პრობლემები, რომლებიც რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის, ყველა საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს.

მაგრამ ჩვენ მარტო დღევანდელი დღით როდი ვცხოვრობთ, ჩვენ მომავალზეც ვფიქრობთ. ჩვენს ცხოვრებაში ახლა სწორედ ისეთი ეტაპი დადგა, როცა გავლილი გზის ანალიზი უნდა შევუხამოთ პროგნოზირებას, ჩვენი მოქმედების შემდგომი პროგრამის განსაზღვრას.

მუშავდება მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმა და რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1990 წლამდე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წინასწარი მონახაზი ძირითადად შეესაბამება რესპუბლიკის წინაშე მდგომ პრობლემებს. ჩვენ მადლობა მოვახსენეთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საკავშირო სამინისტროებს, რომლებიც გვეხმარებიან რთული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში. ამავე დროს აღვძარით მთელი რიგი პრობლემები, რომლებსაც ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება კავკასიის საუღელტეხილო გზის მშენებლობას, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის გაყვანის დაჩქარებას, ენერგეტიკული ბალანსის ოპტიმიზაციას. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განგარიშებანი მეთერთმეტე-მეთორმეტე ხუთწლედებისათვის საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის შესახებ უკვე მომზელდა და **უნდა მიიღონ ჩვენი რესპუბლიკის და ენერგეტიკის მინისტრის პ. ს. ნეპოროჟნის წინადადებანი ახალ ენერგოსიმძლავრეთა შექმნის შესახებ.** ასევე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ პერსპექტიული ენერგეტიკული ბალანსის შედგენისას მხედველობაში იქნეს მიღებული მოთხრვნილება სათბობზე, უწინარეს ყოვლისა, გაზზე.

და ყოველივე ეს კიდევ ერთი დადასტურებაა დებულებისა, რომელიც პლენუმზე წამოაყენა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ქვეყნის განვითარებასთან ერთად მატულობს საშინაო პოლიტიკის ამოცანების სირთულე და მასშტაბი.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა: **საჭიროა ენერგიის მაქსიმუმი მოვახმაროთ იმ საქმეს, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ავამოქმედოთ ასამუშავებელი ობიექტები, უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოგვიწოდა კრიტიკულად შევხედოთ ხარვეზებს, ნაკლოვანებებს, რომლებიც, სამწუხაროდ, როგორც ითქვა, არის მეურნეობრიობის პრაქტიკაშიც და თვით პარტიულ მუშაობაშიც.

პლენუმზე ლენინდ ილიას ძემ შეგვახსენა, რომ დავისახეთ ისეთი კაპიტალური ამოცანა, როგორიც არის წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლება. ოთხმოციან წლებში ძირითადი ყურადღება ეფექტიანობისადმი, რომელიც პარტიის მთელი ეკონომიკური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, კიდევ უფრო გაძლიერდება. ეს გვავალებს უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მთელი საწარმოო რესურსები, გავაქტიუროთ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ბაზაზე.

სწორედ ყველა ეს პრობლემა უნდა დავუდოთ საფუძვლად ჩვენს მუშაობას მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შედგენის, შემდეგ კი შესრულებისათვის, რომლის მთავარი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე მისი ინდუსტრიული პოტენციალის გაძლიერების, მრეწველობისა და საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის, შრომითი რესურსების რაციონალური დასაქმების უზრუნველყოფის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ბაზაზე მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და საერთო-საკავშირო დოვლათში რესპუბლიკის წვლილის გადიდების მიზნით.

ამ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩვენს რესპუბლიკას აქვს ყველა შესაძლებლობა და ყველა რესურსი, უწინარეს ყოვლისა, საკმარი მეცნიერულ-ტექნიკური, შრომითი და ბუნებრივი პოტენციალი. **ამის გათვალისწინებით, მეთერთმეტე ხუთწლედისათვის გეგმამილია, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის, წარმოებული ეროვნული შემოსავლის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის და სხვა დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლების უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე მთლიანად ჩვენს ქვეყანაში.**

ჩვენ უნდა გამოვნახოთ ეფექტიანი საგეგმო გადაწყვეტილებანი ახალ ხუთწლედში რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაგისტრალური მიმართულებების შესახებ. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალ ხუთწლედში, ისევე როგორც მთლიანად დასახულ პერსპექტივაში დამატებითი მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენების გზით ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობანი შეზღუდულია.

ამიტომ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების სწრაფი ტემპის შესანარჩუნებლად საჭიროა **კიდევ უფრო არსებითად დავაჩქაროთ** მეცხრე და ამ ეტაპზე ხუთწლედში დაწყებული პროცესი — **ინტენსიური განვითარების რელსებზე ჩვენი სახალხო მეურნეობის გადაყვანის პროცესი.**

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში პერსპექტივისათვის დასახული თვისებრივი ცვლილებანი უნდა ემყარებოდეს უწინარეს ყოვლისა მრეწველობის როლის შემდგომ გაძლიერებას, მისი პროგრესული დარგების უპირატესი განვითარების ბაზას.

დიდი მნიშვნელობა ექნება აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის განვითარების იმ ვრცელი პროგრამის რეალიზაციასაც, რომელიც განსაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ.

მთლიანად **მომავალი ათწლეული უნდა გახდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონისაგან საქართველოს ჩამორჩენის დაძლევის პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი. ამ გზაზე ფრიად მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება მეთერთმეტე ხუთწლედი.**

ესოდენ პასუხსაგები ამოცანის რეალიზაცია მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ მომავალ პერსპექტივაში ფართო სოციალური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. საქმე ეხება ჩვენი გეგმების სოციალური მიმართულების შემდგომ გაძლიერებას, საბოლოო შედეგებისათვის, ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის მათ ორიენტაციის.

ამ ამოცანას ვუსახავთ არა მარტო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, არამედ ყველა სამინისტროსა და უწყებას, გაერთიანებასა და საწარმოს. ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყველასი და თითოეულის საქმეა.

ეკონომიკის დარგის ასეთი პროგრამით, ასეთი ამოცანებით ვეგებებით ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობას.

II.

ამხანაგებო!

პარტიის ყრილობას, როგორც ყოველთვის, წინ უძღვის საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, განსაკუთრებული, უაღრესად პასუხსაგები ხასიათი პარტიის ცხოვრებაში.

პლენუმზე გამოთქვა რწმენა, რომ პარტიული კრებებსა და კონფერენციებზე სათანადო ყურადღება დაეთმობა პარტიული მუშაობის — პოლიტიკური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური მუშაობის ყველა მხარეს.

ამ მუშაობის დროს საჭიროა კიდევ ერთხელ ყოველმხრივ გავაანალიზოთ პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს რესპუბლიკის, ჩვენი პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებების შესრულებისათვის.

ანგარიშგება-არჩევნებმა უნდა შეაჯამოს განვლილ ხუთწლეულში მთელი ჩვენი საქმიანობის შედეგები. **მეტად საჭიროა განვაზოგადოთ ყოველივე დადებითი ჩვენს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში და, ამასთან, ღრმად, თვითკრიტიკულად და პრინციპულად გავაანალიზოთ არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, გამოვავლინოთ მათი მიზეზები, მთელი ყურადღება მივაპყროთ გადასაწყვეტ საკითხებს და გავკვალოთ ახალი წარმატებების მოპოვების გზა.**

კარგად ჩავიტაროთ საანგარიშო-საარჩევნო კამპანია — ნიშნავს გავაძლიეროთ პარტიული გავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე, მივაღწიოთ კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომ გაძლიერებას, მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განისაზღვრა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარების ვადები. ამის გათვალისწინებით, ყველაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საანგარიშო-საარჩევნო კრებები პარტჯგუფებსა და საამქრო პარტორგანიზაციებში ჩატარდეს აგვისტო-სექტემბერში; პირველადა პარტორგანიზაციებში — სექტემბერ-ოქტომბერში; რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები — ამა წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა კი 1981 წლის იანვრის მეორე ნახევარში.

როგორც ხედავთ, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე სულ ცოტა დრო რჩება. მთელი ყრილობისწინა პერიოდი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება წარმატებით მოვემზადოთ პარტიული ცხოვრების ამ პასუხსაგებ ეტაპისათვის: არ გამოგვრჩეს არავითარი წვრილმანი, გავითვალისწინოთ თითოეული დეტალი, ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ და გავაანალიზოთ ყველაფერი.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ დოკუმენტების კომპეტენტურობასა და მაღალ კვალიფიკაციას, რომლებსაც მიიღებენ კრებებსა და კონფერენციებზე, მათს ობიექტურობასა და უტყუარობას, მხედველობაში გვაქვს, რომ ისინი უნდა გამოგვადგეს მასალად უფრო საფუძვლიანი სჯა-ბაასისათვის საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე.

ამას უზრუნველყოფთ მხოლოდ მთელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების საჯარობით, მასში ფართო პარტიული აქტივის ჩაბმის საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების—კომიტეტების, ბიუროების, მდივნების შემადგენლობის ჩამოყალიბებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ამით იწყება მთელი ჩვენი საკადრო პოლიტიკა. საჭიროა, რომ სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე დავაწინაუროთ ახალგაზრდა, პერსპექტიული ამხანაგები, რომლებმაც პრაქტიკულ მუშაობაში თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა, უნარიანმა ორგანიზატორებმა. კვლავაც მეტი სიმტკიცით უნდა განვაზორციელოთ პარტიულ სამუშაოზე პოლიტიკურად მომწიფებული, სახალხო მეურნეობის აქტიური სპეციალისტების დაწინაურების კურსი, რომელსაც ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ.

პარტია გვასწავლის, რომ არ უნდა ხდებოდეს მუშაკთა გაუმართლებელი გადაადგილებანი და ხშირი შეცვლა, რომ კადრების გადანაცვლება მაშინ არის საჭირო, როცა ეს გამოწვეულია საქმის ინტერესებით, მუშაობის ამა თუ იმ უბნის განმტკიცების საკითხებით. ამავე დროს ხელმძღვანელ პოსტებზე არ უნდა დავტოვოთ ისინი, ვინც თავს ვერ ართმევს თავის მოვალეობებს.

სწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელების, ისევე როგორც მუშაობის ლენინური სტილის შემდგომი სრულყოფის შესახებ, ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით ვილაპარაკეთ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე. ამაზე პარტიის ყრილობაზეც ვისაუბრებთ. მაგრამ პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების დროს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტკონფერენციებზე ეს პრინციპები ზუსტად უნდა განხორციელდეს.

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიდეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს კრიტიკა და თვითკრიტიკა. შეურიგებლად, დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ კრიტიკის ჩახშობის ფაქტებს, ასეთი ფაქტები კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის და, სხვათა შორის, იგივე კიროვის რაიონში, რომლის შესახებაც თავის დროზე საგანგებო გადაწყვეტილება მივიღეთ სკკპ წევრის ს. ა. ცქიმანაურის კრიტიკული შენიშვნებისადმი არასწორი დამოკიდებულების გამო.

ამგვარი ფაქტები დადგენილია მთელ რიგ სხვა რაიონებშიც, კერძოდ თიანეთის რაიონში, სადაც სამუშაოდან დაითხოვეს თიანეთის საკოლმეურნეობათშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის მოწინავე, კარგი მუშაკი ამხ. მ. მ. შუშანაშვილი მხოლოდ იმისათვის, რომ იგი იცავდა თავის კანონიერ უფლებებს, მოითხოვა, რომ მისივის მთლიანად გადაეწყვიტათ შრომის საზღაური. დაშვებული იყო სკკპ წესდების დარღვევაც პარტიულ კრებაზე ამხ. შუშანაშვილის საკითხის განხილვის დროს. ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ განიხილა პარტიის თიანეთის რაიკომმა ეს საკითხი ბიუროზე, რომელმაც დასაჯა დამნაშავენი— მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი და პარტორგანიზაციის მდივანი. განცხადებელი აღდგენილია სამუშაოზე. სამართლიანობამ გაიმარჯვა. მაგრამ ამ სამართლიანობისათვის თავიდანვე რატომ არ იბრძოდა პარტიის რაიონული კომიტეტი, რატომ არაფერი იღონა კრიტიკის ჩახშობთა წინააღმდეგ? თითოეულ ასეთ სამეგრი პარტიულმა კომიტეტმა განსაკუთრებული პრინციპულობა და გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს და იზრუნოს ადამიანისათვის, კომუნისტისათვის, მშრომელისათვის.

კრიტიკაზე არასწორი რეაგირების ყოველ ფაქტს მწვავედ და ოპერატიულად უნდა გამოეხმაურონ პარტიული და სხვა ხელმძღვანელი ორგანოები.

საჭიროა კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით იყოს გამსჭვალული თითოეული პარტიული კრების, თითოეული პარტიული კონფერენციის მუშაობა, რათა ამა თუ იმ ორგანიზაციის, ამა თუ იმ მუშაკის საქმიანობის ყველა მხარე ობიექტურად ფასდებოდეს, რათა არსებულ ნაკლოვანებებს ყოველმხრივ ანალიზებდნენ მათი აღმოფხვრის მიზნით. კომუნისტებმა პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე უნდა იგრძნონ, რომ გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბისა და სირთულის ზრდის კვალობაზე მკაცრი, კრიტიკული მიდგომა ყველა საქმისადმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს ყოველმხრივ უნდა გავაანალიზოთ, თუ რამდენად ქმედითი, რამდენად ეფექტიანია მუშაობის ლენინური სტილის მეორე შემადგენელი ნაწილი— შესრულების კონტროლი და შემოწმება. გულდასმით უნდა შევამოწმოთ, თუ როგორ ხორციელდება მიღებული გადაწყვეტილებანი, გავაანალიზოთ, თუ რატომ არის, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება ან სრულიად არ სრულდება, ან ზუსტად, მთლიანად არ სრულდება. მოდით ერთხელ კიდევ ყურადღებით ვნახოთ, თუ როგორ მოქმედებს პრაქტიკულად შესრულების კონტროლისა და შემოწმების სისტემა.

ამას წინათ ჩვენთან ცენტრალურ კომიტეტში ერთობ საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე დასმული ამოცანები. მანამდე კი ასეთივე შეხვედრები მოეწყო რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში—გორში, ზუგდიდში, ქობულეთში, თელავში, გალში, სადაც ფართო პარტიული აქტივის მონაწილეობით არამარტო წყვეტდნენ ოპერატიულ სამეურნეო ამოცანებს, არამედ განიხილავდნენ კიდეც პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას, აანალიზებდნენ საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას.

პარტიული კომიტეტების მდივნების მუშაობის სტილის შემდგომი სრულყოფის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების მიზნით ჩვენ რეგულარულად ვისმენთ ინფორმაციებს მათი მუშაობის პრაქტიკის შესახებ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე ან სამდივნოზე. გარდა ამისა, ვიღებთ გადაწყვეტილებებს ცალკეული პარტიული კომიტეტების შესახებ, რომლებშიც ჩამოყალიბებულია საჭირო რეკომენდაციები ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების თაობაზე. მარტო წელს ჩვენ ასეთი გადაწყვეტილებანი მივიღეთ პარტიის ბორჯომისა და ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომების შესახებ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია პარტიის ამბროლაურის რაიკომისა და მისი პირველი მდივნის ამხ. ა. ვ. შარაბიძის მუშაობის სტილისა და მეთოდებში. აქ საკითხებს ხშირად წყვეტენ ნაჩქარევად, არათანმიმდევრულად, არ იგრძნობა თვითკრიტიკული, პრინციპული დამოკიდებულება ნაკლოვანებებისადმი. ყოველთვის სწორად არ ანაწილებენ კადრებს, ეს კი, თავის მხრივ, ეკონომიკის სერიოზულ ჩამორჩენას იწვევს. იქ ბევრია ობიექტური მიზეზებიც, ობიექტური სიძნელეები, მაგრამ მთავარი მაინც, ის შეცდომებია, რომლებსაც თვით რაიონის ხელმძღვანელები უშვებენ.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგჭირდება. რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ვერ შეასრულეს ყურძნის, ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების ხუთწლიანი ოთხი წლის გეგმები; ამ წლების მანძილზე შემცირდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, საშუალო წველადობა, მეკვერცხეობა. არც ერთი მაჩვენებლის მიხედვით არ არის მთლიანად რეალიზებული სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება.

ყოველივე ამას დღეს იმიტომ აღვნიშნავთ, რომ შრომითი კოლექტივების წარმატებებს ბევრად განსაზღვრავს სამეურნეო და კულტურ

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

(გაგრძელება)

სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავი შრომითი ვახტი დაიწყო! დადგნენ რა ამ ვახტზე, რესპუბლიკის მრომელები უკვე უპატაკებენ სამშობლოს ზეგეგმითი ფოლადის გამოშვების, მასალებისა და ნედლეულის დაზოგვის, ახალი თაოსნობების შესახებ, რომლებიც ამ დღეებში იშვა და მიზნად ისახავს წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებასა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ყველანი იმაზე ფიქრობენ, თუ რით გაახარონ სამშობლო, პარტია. და, უნდა ითქვას, ყრილობისადმი ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება მეათე ხუთწლედის იმ დავალებათა შესრულება, რომელთა მიზანია შემცირდეს საშუალო საკავშირო ეკონომიკური მაჩვენებლებისგან რესპუბლიკის ჩამორჩენა, დადგენილ ვადებში ამოქმედდეს ასამუშავებელი ობიექტები.

ეს იქნება ჩვენი საუკეთესო საერთო-რესპუბლიკური საჩუქარი ჩვენი ლენინური პარტიისათვის, პარტიის ყრილობისათვის!

— ღირსეულად ხვდებიან ყრილობას „საქნავთობისა“ და „საქსამთოქემრეწვის“ გაერთიანებების, „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის, ჭიათურის მანგანუმის კომბინატის, „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მიონისა“ და მისი ქარხნის, თბილისის ელექტროგადამშემკეთებელი ქარხნისა და მთელი რიგი სხვა საწარმო-ორგანიზაციების კოლექტივები, რომლებმაც სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის შესრულება უპატაკეს.

— ქუთაისის ავტოქარხნის ჭიშკრიდან გამოვა საოფლო-სამეურნეო დანიშნულების პირველი ავტომატარებელი. ეს უნიკალური მანქანა იქნება;

— ფოთელმა გემთმშენებლებმა გადაწყვიტეს ყრილობისათვის დაამზადონ ახალი ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღა „კოლხეთი“ „კომეტის“ ნაცვლად, რომელიც წინათ გამოდიოდა;

— ქარხანა „საქსოფლმანქანა“ შექმნის მონორელსური ტრანსპორტიორის პირველ ნიმუშს;

— რუსთავის ქიმიური ქარხანა გამოუშვებს მანგანუმის ელექტროლიზურ ორეანგს;

— ფეროშენადნობთა გამოდნობის ახალ ტექნოლოგიას დანერგავენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი საქართველოს შახტების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტთან და გაერთიანება „საქქვანახშირთან“ ერთად, თერმულად დამუშავებული ნაცარუხვი ნახშირის გამოყენების საფუძველზე, რაც საშუალებას მოგვცემს მთლიანად გამოვიცხოთ ფეროშენადნობთა წარმოებაში ძვირადღირებული კოქსწვრილას გამოყენება.

— დამთავრდება მთელი რიგი ისეთი ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის სატრანსპორტო კვანძები და გზები, წყალსაცავები და სარწყავი სისტემები, საქალაქო საწმენდი ნაგებობანი, სასტუმროები, კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი და სამედიცინო დაწესებულებანი.

— უძვირფასესი პროდუქციის გამოშვებას დაიწყებს გაჩიანის დიატომიტის ფხვნილის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ქარხანა;

— საექსპლოატაციოდ გადაეცემა გადამმუშავებელი მრეწველობის რამდენიმე ქარხანა.

— ავჯოს კომბინატები დაამზადებენ მაღალი ხარისხის მთელ რიგ ავჯოს გარნიტურებსა და კომპლექტებს;

— მოქმედთა მწყობრში ჩადგება ენგურჰესის მეხუთე აგრეგატი და ვარციხეზეის კასკადის მესამე საფეხური;

— ამოქმედდება ზესტაფოხის ფეროშენადნობთა ქარხნის ორი ელექტროღუმელი და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუირებული ბრძმედი;

— გაყვანილ იქნება გაჩიან-ბათუმის ნავთობსადენი;

— შესანიშნავ საჩუქარს უმზადებენ ყრილობას აჭარის მეცეტრუსეები და მახარაძის რაიონის მეჩაიეები. მათ ივალდებულეს ერთსა და იმავე დროს შეასრულონ ხუთწლედი და 1981 წლის დავალებანი! იშვა ახალი მოძრაობა: ექვსი წელი ხუთ წელიწადში! დარწმუნებული ვართ, რომ ამ თაოსნობას მხარს დაუჭერენ სხვა რეგიონების მეცეტრუსეები და მეჩაიეები;

— გურჯაანის რაიონის მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ 20 ათასი ტონა ყურძენი, რაც საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ხუთწლედის დამდეგიდან წარმოშობილი დანაკლისი, და წელს მოკრიფონ სულ 140 ათასი ტონა ყურძენი;

— ხობის რაიონის სოფლის მშრომელებმა ოთხ წელიწადში ხუთწლიანი გეგმა და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ;

— როგორც წვეთებისაგან იბადება ოკეანე, ისე თავადებული შრომა, ინიციატივა ყოველ სამუშაო ადგილს წარმშობს მასების შემოქმედებითი აქტიურობის მძლავრ ტალღას. **არ დავაცხროთ ეს ტალღა, ყოველნარად შევუწყოთ ხელი თითოეულ შრომითს კოლექტივში ნამდვილად შემოქმედებითი ატმოსფეროს, ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარების შექმნას — ასეთია ახლა მთელი ჩვენი პარტიული და სამეურნეო მუშაობის მთავარი ამოცანა.**

ამ მიზნის მიღწევას უნდა მოვახმაროთ სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა. შეჯიბრებაში უნდა ჩავაბათ მშრომელთა უფართოესი ფენები, მოვიქცეთ ისე, **რომ შრომითს საჩუქარს ყრილობას უმზადებდეს თითოეული მშრომელი, თითოეული კოლექტივი.**

როცა საქმე ეხება ყრილობისთვის შრომითს საჩუქრებს, ყველას სიტყვა და საქმე ერთი უნდა ჰქონდეს. ამიტომ ფრიად საჭიროა, რომ თითოეული ვალდებულება იყოს სავსებით რეალური და სრულიად კონკრეტული, შესაბამისი დასაბუთებითა და გაანგარიშებით განმტკიცებული. ფორმალიზმი აქ, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეში, ყოვლად შეუწყნარებელია! ჩვენ კი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს ფორმალიზმი.

ახლა, სოციალისტური შეჯიბრების საყრილობო ეტაპზე, საჭიროა მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას მის ორგანიზაციაში, მისდამი პარტიულ ხელმძღვანელობაში. **ყოველი ვალდებულების შესრულება, ყრილობისადმი ყოველი შრომითი საჩუქრის მომზადებისათვის მუშაობა პარტიული კომიტეტების საგანგებო კონტროლს უნდა დავუქვემდებაროთ.**

რესპუბლიკაში იშვა შესანიშნავი ტრადიცია: **სოციალისტურ შეჯიბრების იმ გამარჯვებულთა პატივსაცემად, რომლებმაც მეათე ხუთწლედის დავალებანი ვადამდე შეასრულეს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რესპუბლიკურ საპატიო დაფასთან აღიმართება ხოლმე რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.** შეჯიბრების გამარჯვებულთა ამ უმაღლესი ფორმის პატივი უკვე ბევრმა მოწინავე კოლექტივმა დაიმსახურა.

კვლავაც უნდა ვეძებდეთ და ვპოულობდეთ შეჯიბრების ორგანიზაციის ახალ ფორმებსა და მეთოდებს.

ამხანაგებო!

უკვე თითქმის ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, რომლის მუშაობას წითელ ზოლად გასდევდა თეზისი: **„პირით ადამიანისაკენ! ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის!“.**

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ყრილობიდან ყრილობამდე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ **მატერიალურ სიკეთეთა ზრდა მხოლოდ მაშინ გვაძლევს საგრძნობ შედეგებს და იძენს სოციალურ მნიშვნელობას, როცა იგი წარმოებს ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის თანამიმდევრული დამკვიდრების ფონზე, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანთა სულიერ განვითარებაზე.**

ამიტომაც არის, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანთა გადაწყვეტისას ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებდით და ვითვალისწინებთ, რომ ჩვენი ცხოვრების ეერც ერთ დარგში ვერ მივაღწევთ მნიშვნელოვან წარმატებებს, თუ უკომპრომისოდ არ ვებრძოლეთ ისეთ ნეგატიურ მოვლენებს, როგორიც არის გამომძალველობა, მექრთამეობა, სოციალისტური საკუთრების დატაცება, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ქურდობა, კომუნისტური მორალის ნორმებიდან სხვა გადახრები.

ეს იყო ჩვენი მტკიცე და თანამიმდევრული კურსი, და მას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მშრომელებმა.

და მაინც დღეს გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა სამინისტროსა და უწყებას როდი შესწევს უნარი სამეურნეო საქმიანობა შეუხამოს ორგანიზაციულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას, განამტკიცოს შეგნებული დისციპლინა, შექმნას ყველა შრომითს კოლექტივში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი.

და თუ დღეს საქმე ეხება პარტიის ყრილობის ღირსეულ შეხვედრას, იგი, ეს შეხვედრა, უნდა ითვალისწინებდეს, აგრეთვე, უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლას დატაცების, წამატების, თვალის ახვევის ფაქტების, სხვა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ. ასეთი ფაქტები კი ბოლო დროს გამოვლინდა კვების მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში. მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, მცხეთის, თელავის, ამბროლაურის, გულრიფშის, ქობულეთისა და გარდაბნის რაიონებში, ქალაქ თბილისის საქარხნო და ლენინის რაიონებში და ზოგიერთ სხვა რეგიონში.

დიდი დატაცება გამომჟღავნდა ახლახან თეთრი წყაროს რაიონის ორბეთის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც საბჭოთა მეურნეობის თავმჯდომარე ლ. ქავთარაძემ და მოლარემ, პარტიის წევრმა ს. ზაქაიძემ, რომლებიც სისტემატურად ადგენდნენ ფიქციურ დოკუმენტებს, ბოლო ორი წლის მანძილზე ერთი, სულ პატარა საბჭოთა მეურნეობის სალაროდან 330 ათას მანეთზე მეტი დაიტაცეს. რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ? სახბანკის ორგანოები ხომ იძლეოდნენ სიგნალს, რომ საბჭოთა მეურნეობის საფინანსო საქმეები რიგზე ვერ იყო. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებმა — ყოფილმა პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. გონაშვილმა, მეორე მდივანმა ამხ. ნ. ი. მელაძემ, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. მ. თეთრუაშვილმა — დაუდევრობა გამოიჩინეს და ამით ხელი შეუწყვეს სახელმწიფო სახსრების დატაცებას.

სერიოზული ბოროტმოქმედება მოხდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის რესპუბლიკურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში. აქ დაიტაცეს დაახლოებით 90 ათასი მანეთის 125 ტონა შაქარი. რამდენი წლის მანძილზე უნდა შეესრულებინათ უსაქონლო ოპერაციები მთავარ ბუღალტერს გ. ფანჯიკიძეს, ყოფილ მთავარ ზოოტექნიკოსს, პარტიის წევრს ბ. ძულიაშვილს, საწყობის გამგეს შ. ქუმსიაშვილს, რომ დაეტაცებინათ ასეთი თანხა? და მთელი ამ ხნის მანძილზე მათი მაქინაციები თითქოს და შეუმჩნეველი რჩებოდა.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მაიაკოვსკის რაიმრეწკომბინატში „მჩქეფარე საქმიანობა“ გამაღეს კომბინატორებმა, რომლებმაც 100 ათას მანეთზე მეტი ღირებულების აღურიცხავი ნედლეული და სამრეწველო საქონელი გადამალეს. ძალზე უცნაურია, მაგრამ ასეთი დიდი მაქინაციები ხდებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების, პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის თვალწინ. არადა, ამხანაგებო, არც ისე ბევრი საწარმო გაქვთ და, თითქოს, მაინცდამაინც არ უნდა გაგჭირვებოდათ სახელმწიფო წესრიგი დაგემყარებინათ იქ.

200 ათას მანეთზე მეტი დაიტაცეს ამბროლაურის რაიონის ცეკავშირის სისტემის პატარა საკოსმეტიკო ქარხანაში. და თუმცა ქარხანა პატარაა, აქ 200 ათასი მანეთი დაიტაცეს!

ყველა ეს ფაქტი შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ზოგიერთმა თანამდებობის პირმა შეანელა მომთხოვნელობა, შეასუსტა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. უდარდელობა და პირდაპირი წაყრუებაც კი გამოიჩინა.

უაღრესად სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ხანდახან სამსახურებრივ მდგომარეობას ბოროტად იყენებენ ხელმძღვანელი მუშაკები, კომუნისტები, რომლებიც ზოგჯერ სრულიად ეცემიან ზნეობრივად.

ასე მოუვიდათ, მაგალითად, ქალაქ ბათუმის „საქმთავარნავთობგასაღების“ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ყოფილ ხელმძღვანელებს, რომლებიც ქრთამს იღებდნენ მსმენელებისაგან. კურსების დირექტორს, სკკპ წევრს ა. მაღრაძეს, ბათუმის ცენტრალური ნავთობგადასაცლელი ბაზის საამქროს უფროსს, პედაგოგს, სკკპ წევრს მ. ვადაჭკორიას გამოცდების წინ 1000 მანეთი ქრთამი გადასცეს. ახლახან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობის აქტიური მონაწილეობით იქ მექრთამეთა ჯგუფი ამხილეს.

იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, იგი აქტიურად უნდა ვაწარმოოთ ყოველ რაიონში, ქალაქში, ყოველ შრომითს კოლექტივში. ჩვენ ერთხელ კიდევ ვუსვამთ ხაზს პარტიული ორგანოების განსაკუთრებულ როლს, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ადგილებზე საქმის ვითარებისათვის, ვუსვამთ ხაზს კომუნისტ ხელმძღვანელთა პერსონალურ პასუხისმგებლობას—ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისათვის.

განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს ბრძოლამ საზოგადოებრივი წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის, ადმინისტრაციული ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებისა და ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებების მიხედვით.

შუშაობა ამ მიმართულებით წარმოებს. მინდა მოვახსენო აქტივს, რომ ცენტრალურ კომიტეტში ყოველკვირეულად ვიხილავთ ხოლმე რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების მდგომარეობას. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყოველ სხდომაზე ვისმენთ ინფორმაციას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის, ამ უბანში რესპუბლიკის კომიტეტების, საბჭოების აღმასკომებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის თაობაზე.

ამან და ბევრმა სხვა ღონისძიებამ უკვე მოგვცა თავისი შედეგი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, კანონიერების განმტკიცების საკითხებმა უპირველესი ადგილი დაიკავა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების უმრავლესობის მუშაობაში. თავიანთ მუშაობას გარდაქმნინან რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეული პოზიტიური ძვრები დაისახა. ძირითადად დაძლეულია ოპერატიული ვითარების სერიოზული გართულება. მიღწეულია დამნაშავეობის, მის ყველაზე საშიშ სახეობათა საერთო დონის დაწევა.

ეს პოზიტიური ტენდენციები კვლავაც უნდა განვითართოთო. ჩვენი პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოები უკეთ უნდა ფლობდნენ ვითარებას, უფრო ღრმად სწვდებოდნენ სამართალდარღვევათა მიზეზებს, ადგენდნენ დროულ პროგნოზებს, იღებდნენ უფრო ეფექტიან ზომებს.

ღირსეულად შევხვდეთ პარტიის ყრილობას—ნიშნავს მივაღწიოთ აგრეთვე სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს რესპუბლიკაში.

III.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, როგორც ცხობილია, განიხილა მეორე საკითხიც— „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის — ამხ. ა. ა. გრომიკოს მოხსენებაში ყოველმხრივ იყო გაანალიზებული პარტიის ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

და იმაში, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსა და იმავე დროს განიხილა პარტიის ყრილობის მოწვევის საკითხი და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, არის გარკვეული კანონზომიერება. ამ კანონზომიერებას, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, განსაზღვრავს ის, რომ ჩვენ საერთაშორისო ვითარებაზე, რევოლუციურ ვითარებაზე, მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ.

ხოლო საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზით გადადგმული ყოველი ნაბიჯი, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, დიდ ჯაფად გვღირს. და მართლაც, არასოდეს არ ყოფილა ესოდენ რთული სახელმწიფოთა ურთიერთობა, როგორც დღეს არის, და არასოდეს არ ყოფილა ესოდენ პასუხსაგები საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, როგორც დღეს არის.

აგრესიული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ, როგორც პლენუმზე ითქვა, ვნება მიაყენონ საბჭოთა კავშირს, მთლიანად სოციალიზმის პოზიციებს. ისინი ლამის საბჭოთა კავშირის გარიყვას ესწრაფვიან, მაგრამ ამ მიმართულებით მოქმედება, როგორც ლეონიდ ილიას ძემ თქვა, თავიდანვე უშედეგო გამოდგა.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს გადამწყვეტწილად იმასთან არის დაკავშირებული, რომ განუზომლად გაიზარდა საბჭოთის ეკონომიკური პოტენციალი და თავდაცვითი ძლიერება, კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, უდიდესი როლი შეასრულა იმანაც, რომ ჩვენ სიდინჯე და თანამიმდევრულობა გამოვიჩინეთ და არავის დავანებეთ ავეცდინეთ სკკპ XXIV ყრილობაზე გამოცხადებული და XXV ყრილობაზე კიდევ უფრო განვითარებული მშვიდობის პროგრამით განსაზღვრული კურსიდან.

მაგრამ ომის საფრთხე რეალური საფრთხეა. სწორედ ჩვენს ეპოქაში ადამიანმა მთლიანად შეიგრძნო თავისი გენის როგორც აღმშენებელი, ისე დამანგრეველი ძალა.

შეუკავებელი გამალებული შეიარაღება, საომარი კონფლიქტების პროვოკაციული გამოწვევა და დაძაბულობის გაძლიერება თვით კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობს. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო-სამრეწველო გიგანტები ვერ ფიგდებიან წარმოების გაყინვას, მოკვების არხების გათავთხელებას. ისინი ამას მომავალშიც ვერ შეურიგდებიან. იმპერიალისტების ფარვატერში ჩინელი ჰეგემონისტები, ზოვინისტები მიდიან.

იმპერიალიზმს, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, აშკარად განუზრახავს გამოსცადოს ხალხების ნება და მშვიდობისადმი მისწრაფება, ჩვენი კეთილი ნება და მტკიცე გადაწყვეტილება — ვიაროთ დაძაბულობის შენელებისა და კეთილმეზობლობის გზით. ვაშინგტონი ისევ ისე განაგრძობს „ცივი ომის“ სულისკვეთების აღორძინებას, აძლიერებს მილიტარისტულ განწყობილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობა პარტიის XXIV-XXV ყრილობების ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის.

პლენუმზე გამოითქვა რწმენა, რომ ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დროს პარტიის საერთაშორისო საქმიანობაც განიხილება. ეს იქნება ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნების განმასხვავებელი ნიშანი. და ამ მუშაობისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციები უნდა მოემზადონ. ეს საქმე პასუხსაგებია, და საერთაშორისო მდგომარეობის განმარტებაში ფიქრობელია დილეტანტიზმი, არაკომპეტენტურობა, კუსტარულობა. აქ საჭიროა პოლიტიკური სიმწიფე, იდეური წვთობა, ღრმა ცოდნა, მაღალი კვალიფიკაცია, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების სწორი ანალიზის უნარი. და ამ ფრიად მნიშვნელოვან მუშაობაში ჩვენ უნდა დავეხმაროთ ამხანაგებს.

მთელ ამ დიდმნიშვნელოვან და პასუხსაგებ მუშაობაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ მითითებებიდან, რომელიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე, სადაც მან აღნიშნა, რომ ინფორმაცია საერთაშორისო საქმეთა შესახებ უნდა იყოს უფრო ოპერატიული, გასაგები, კონკრეტული ფაქტებით აღსავსე და რომ საერთაშორისო კომენტარი, როგორც იტყვიან, მოვლენების ცხელ კვალს უნდა მისდევდეს და განაზოგადებდეს მათ. არა ანბანურ ჭეშმარიტებათა გადამღერება, ხაზგასმით აღნიშნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, არამედ საერთაშორისო ცხოვრების ფაქტების ღრმა, დასაბუთებული ანალიზი — აი, რა გვჭირდება ჩვენ!

ეს მუშაობა კვლავაც უნდა გავაძლიეროთ, აკიყვანოთ იგი უფრო მაღალ საფეხურზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მზარდი იდეოლოგიური კონფრონტაციის ვითარებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს აქტუალური, ღრმაშინაარსიანი, დიდი იდეური მუტის მქონე ინფორმაცია საერთაშორისო საკითხებზე.

ჩვენ დღენიადაგ უნდა განვუმარტავდეთ კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომ თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვითარებას არაერთმნიშვნელობანი, წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. იგი იქმნება, ერთი მხრივ, მშვიდობის, სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალებს და, მეორე მხრივ, იმპერიალისტური რეაქციის, მილიტარიზმისა და ჰეგემონიზმის ძალებს შორის გამწვავებული ბრძოლის ზემოქმედებით. ამ პერიოდს ახასიათებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინაღმდეგეთა აქტიურობის გაძლიერება, მათი მისწრაფება, კვლავ ჩაითრიონ კაცობრიობა „ცივი ომის“ მორევში, გაამთელონ ამ ბოლო ხანს ორი საწინააღმდეგო სოციალური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობაში მიღწეული ყველა პოზიტიური ძვრა, დააშინონ ხალხები, შეაფერხონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც დღითი დღე ძლიერდება დედამიწის სხვადასხვა რეგიონში.

მაგრამ იმპერიალისტების ცდები, რომ განახორციელონ ჩვენი ქვეყნის იზოლაციის პოლიტიკა, კვლავინდებურად შეემსხვრევა ჩვენი პარტიისა და ხალხის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მონოლითურ ერთიანობას. ბოლო ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობაში მიღწეული მნიშვნელოვანი ცვლილებების გზაზე ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტები იყო ამერიკის იმპერიალიზმის ავანტიურის აღსასრული ვიეტნამში, საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის 1970 წლის ხელშეკრულება, ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ, სრულიად ევროპის ჰელსინკის ფორუმი და ა. შ.

მსოფლიო, რომელმაც ამ პერიოდში პოლიტიკური დაძაბულობის შენელების სტადიას მიაღწია, ესწრაფვოდა აგრეთვე მის მატერიალიზაციას— გამალებული შეიარაღების შემცირებას, განიარაღებას, ყოველმხრივ საერთაშორისო თანაშრომლობას. ამ გზაზე ჩვენც მივაღწიეთ გვარიან წარმატებებს. ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის განლაგების აკრძალვის, კოსმოსური სივრცის სამხედრო მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ ხელშეკრულებების, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველი და მეორე ხელშეკრულებების დადება და სხვა ხალხს უნერგავდა მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების იდეების საბოლოო გამარჯვების იმედს.

სიმპტომურია, რომ სწორედ დაძაბულობის შენელების პირობებში გაძლიერდა მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დედამიწის ხალხთა ბრძოლის გააქტიურების პროცესი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამბები, რომლებიც ბოლო ათწლეულის მანძილზე მოხდა ვიეტნამსა და ლაოსში, კამპუჩიასა და მოზამბიკში, ეთიოპიასა და ანგოლაში, ავღანეთში, ზიმბაბვესა და ნიკარაგუაში, მხედველობაში გვაქვს ფაშისტური რეჟიმების დამხობა ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთში, სოციალური ძვრები, რომლებიც ყველა კონტინენტზე დაისახა.

მსოფლიო იმპერიალიზმის გავლენის სფერო თანდათან ვიწროვდება, და მან, შემდგომი გარდაუვალი დანაკარგების შიშით გადაწყვიტა კონტრშეტევა წამოიწყო. ამისათვის საჭირო იყო გამალებული შეიარაღების ახალი დაჩქარება, უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ჩინეთის ხელმძღვანელობასთან, რომელმაც უღალატა მარქსიზმ-ლენინიზმის საქმეს, მუშათა კლასის საქმეს.

ეს კონკრეტულად იმით გამოიხატა, რომ დაიწყეს მოლაპარაკება ჩინეთისათვის დასავლური იარაღის მიწოდების შესახებ, გადაწყვიტეს შეექმნათ ახალ სახეობათა იარაღი და განლაგებინათ საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, გაექიანურებინათ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მეორე, ვენის ხელშეკრულების რატიფიკაცია, განუზომლად გაეზარდათ ნატოს აგრესიული ბლოკის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები.

საერთაშორისო პოლიტიკაში მკვეთრი შემობრუნების, დასავლეთისა და, უწინარეს ყოვლისა, კარტერის ადმინისტრაციის მიერ დაძაბულობის შენელების უგულებელყოფის თვალსაჩინო მაგალითია თეთრი სახლის საგარეო-პოლიტიკური აქციები, რომლებიც პირველ რიგში მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უხეშად დაარღვია სამთავრობათშორისო შეთანხმებათა მთელი სერია და ვეტო დაადო ვაჭრობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და სპორტის დარგში სსრ კავშირთან, აგრეთვე სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთხელსაყრელ კავშირურთიერთობას. ყოველივე ამასთან ერთად აღვიგებენ მილიტარისტულ ისტერიას და ამერიკულ შოვინიზმს იმ საძრახისი მიზნით, რომ ამერიკის საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ ქვეყნის სამნაო ვითარებას, ხელოვნურად გააძლიერონ ანტისაბჭოური განწყობილება და, საბოლოო ანგარიშით, რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის ხმა იშოვონ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში.

იმის შიშით, რომ მილიტარიზაციის ახალი ტალღა შეიძლება ხალხთა მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდეს, დასავლეთის რეაქციული წრეები კვლავ ბერავენ მითს „კომუნისტური მუქარის“ და „საბჭოთა საფრთხის“, საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არარსებული „ზრდის“, „კომუნისტური ექსპანსიონიზმის“, „კრემლის საიდუმლო გეგმების“ და სხვათა შესახებ.

რაკი გრძნობს, რომ ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ, დასავლეთის პროპაგანდა კვლავ დაადგა საომარი ფსიქოზის გაღვივების გზას. განსაკუთრებით გაფურჩქნულნი ესსმიან თავს დაძაბულობის შენელებას ირანში შაჰის რეჟიმის დამხობისა და ავღანეთში ამინის სისხლიანი მმართველობის ლიკვიდაციის შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, აგრეთვე ჩინეთი არაფერს, მათ შორის შეიარაღებულ აგრესიასაც კი არ თაკილობენ, ოღონდ არ აიშენებინონ ავღანელებს ახალი ცხოვრება 1978 წლის აპრილის განმათავისუფლებელი რევოლუციის იდეალების შესაბამისად.

გავიხსენოთ, რაოდენ შეაშფოთა საბჭოთა ადამიანები ამ აგრესიულმა აქციამ, როცა ავღანეთის რევოლუციის მონაპოვრები სასწორზე აღმოჩნდა. ყოველ ჩვენგანს დიდად აწუხებდა ავღანელი ხალხის ბედი, ჩვენი სამხრეთი საზღვრების ბედი, და ავღანეთის მიმართ განხორციელებულ გამბედულ, ერთადერთ სწორ ღონისძიებას შინაგანად ყოველი საბჭოთა ადამიანი ელოდა.

ავღანეთის მთავრობამ გვთხოვა დავხმარებოდით აგრესიის მოგერიებაში, იერიშზე გადმოსული იმ ბანდიტური შენაერთების უკუგდებაში, რომლებიც უწინარეს ყოვლისა პაკისტანის ტერიტორიიდან მოქმედებდნენ.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს ავღანეთის რევოლუციის მონაპოვრათა შენარჩუნება-განვითარებისათვის, ჩვენი სამხრეთი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ჩაიშალა გეგმები, რომ იმპერიალისტური პოლიტიკის ორბიტაში ჩაეთრიათ ავღანეთი, საფრთხე შეექმნათ ჩვენი ქვეყნისათვის სამხრეთიდან და იმპერიალიზმის პლაცდარმად გადაექციათ ეს ქვეყანა.

როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, ავღანეთისადმი დახმარების საბჭოთა აქციაში ერთი მისხალი ანგარებაც კი არ არის. ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა— უნდა გაგვეგზავნა ჯარები. მომდევნო ამბებმა დაადასტურა, რომ ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო.

ახლა ავღანეთში ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება. კონტრრევოლუციონერთა დიდი ბანდები განადგურებულია, ინტერვენტებმა სერიოზული დამარცხება იწვნიეს. ამასთან დაკავშირებით ავღანეთის მთავრობასა და მის მეთაურთან

საქართველოს პარტიული აქტივის კრება

(დასასრული).

თუ დისციპლინა და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი არ გვექნა, დემოკრატიას სოციალიზმის პირობებში ვერ განვახორციელებთ! ჩვენთვის დემოკრატიულია ის, რაც ხალხის ინტერესებს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს ემსახურება! — ასე თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე.

და დღეს, პარტიის XXVI ყრილობის წინ, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ: პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მოქალაქეთა უფლებებისათვის ზრუნვისას ჩვენ ვუთმობდით და კვლავაც დავუთმობთ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცების პრობლემებს, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე ყველა მოქალაქის ვალის მოხდას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ თითოეული მოქალაქე პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდეს ადამიანურ ურთიერთობებს, ხალხის ინტერესებს, რადგან ეს და მხოლოდ ეს ქმნის ერთადერთ საიმედო ბაზას სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების ყველაზე სრული ხორცშესხმისათვის, პიროვნების ჰეშმარიტი თავისუფლებისათვის.

და, ბოლოს, მთავარი. რაიმე მწვავე მომენტი რომ დგება, თითოეული გარკვეული პოზიციას უნდა დაადგეს, იპოვოს ადგილი საერთო მწყობრში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ხელმძღვანელს — კომუნისტს, ყოველი რანგის პასუხისმგებელ მუშაკს. დიდად სამწუხაროა, რომ დღეს, პარტიული აქტივის კრებაზე გვიხდება იმის თქმა, რომ ზოგიერთ ჩვენს ხელმძღვანელს, მათ შორის პარტიულ ხელმძღვანელებს, დაძაბულ მომენტში უღალატებთ ხოლმე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომ ისინი ყოველთვის ვერ პოულობენ საკუთარ თავში გამბედაობას, რათა პრინციპულად და მტკიცედ უკუაგდონ ჩამორჩენილი შეხედულებანი. მავნე გადმონაშთები. ეს კი მცდარი, ცუდი გზაა, ამხანაგებო.

ვიმეორებ: ჩვენ ნიადაგ უნდა გამოვაწრთოთ ჩვენი ადამიანები იდეურად, ყოველნაირად ავამაღლოთ მათი პოლიტიკური სიფხიზლე, ყველაფერი ვიღონოთ, რათა კიდევ უფრო მეტად მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა.

ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებს. მასში რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ამერიკაკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქები. ამერიკავკასიელი მეომრები ემზადებიან პარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. ისინი უპატაჟებენ სამშობლოს თავიანთ მამაცურ მხედრულ შრომას სამშობლოს სამხრეთ საზღვრებზე. ხოლო ყრილობის წელს ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის მე-60 წლისთავს — მეომართა დიდ დღესასწაულს, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ყველა შრომელის დღესასწაულს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლა ძნელი ბრძოლაა. ასეთ პირობებში მშვიდობის მოგებაზე ომის მოგებაზე იოლი როდია. და თუ მშვიდობა მაინც შევინარჩუნეთ, ამაში გადამწყვეტი დამსახურება მიუძღვით სოციალისტურ თანამეგობრობას, ჩვენს ქვეყანას, პარტიას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. დარწმუნებული ვართ: ეს მთავარი ფაქტორი რომ არა, ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ყოველდღიური ზრდა რომ არა, თერმობირთვული ომის ხანძარი გარდაუვალი იქნებოდა.

დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. უმაღლესი ავტორიტეტი აქვს ლ. ი. ბრეჟნევს. და ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ამას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვთქვი, რომ მე, ისევე როგორც ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებსაც საშუალება მოგეცა ეყოფილიყავი ბევრ ქვეყანაში. ამას წინათ, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისაბჭოური ისტერია იყო გაჩაღებული, სხვა ამხანაგებთან ერთად ვეწვიე შორეულ ბრაზილიას — მსოფლიოს ტერიტორიით მეხუთე და მოსახლეობით მეექვსე ქვეყანას, რომელსაც აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეები აქვს, სადაც დიდია, რა თქმა უნდა, ამერიკელთა გავლენა, მეტადრე ეკონომიკაში. და საგულისხმოა, რომ ასეთ პირობებში ბრაზილიელებმა დიდი გულთბილობა, განსაკუთრებული სიმპათიები გამოიჩინეს ჩვენი ხალხისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ლ. ი. ბრეჟნევის წერილმა ამ ქვეყნის პრეზიდენტისადმი და ლეონიდ ილიას ძის იქ გამოცემულმა ტრილოგიამ ავტორის შესანიშნავი წინასიტყვაობითურთ.

ბრაზილიაშიც, სხვა ქვეყნებშიც აღიარებენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში არ არის უფრო ავტორიტეტიანი, უფრო თანამიმდევარი სახელმწიფო მოღვაწე, ვიდრე ლ. ი. ბრეჟნევია, რომელსაც დიდ პატივს სცემენ და რომლისაც ბოლომდე სჯერათ, მსოფლიოში იციან, რომ საბჭოთა კავშირი და მისი ხელმძღვანელი გაუერიერებაში ბედის ანაბარა არ მიატოვებენ მეგობრებს, რომ მისი სიტყვა და საქმე ერთია.

— მშვიდობა, — თქვა ლეონიდ ილიას ძემ,—კაცობრიობის სწორუპოვარი საუნჯეა. ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის დროშა ვ. ი. ლენინმა აღმართა და ამ დროშას ჩვენ მუდამ ვუერთგულებთ.

საბჭოთა ადამიანების ერფელი ზრახვანი დღენიადაგ თავს დასტრიალებს მშვიდობას მშვიდობიან მიწაზე, მშვიდობიანი ცისქვეშ მშვიდობიან შრომას.

* * *

ამხანაგებო!

ერთ-ერთ „პუბლიცისტს შენიშვნაში“ ვ. ი. ლენინი იხსენიებს ადამიანს, რომელიც ძალზე მაღალ, ციცაბო და ჯერ კაცისაგან უვალ მთაზე ადის. მისი მწვერვალის მისაღწევად არნახული სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვა უხდება. მაგრამ სამაგიეროდ, რა უდიდესი ნეტარება გეუფლება, როცა უკან ჩამოიტოვებ ყველა სიძნელეს და მწვერვალს მიაღწევ!

ახლა ჩვენ წინაშე ისახება ასეთი მწვერვალი — ჩვენი ლენინური პარტიის XXVI ყრილობა. ძნელი იყო ეს გზა, და ამ ციცაბო ამაღლებზე საბჭოთა ხალხის წინსვლისს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მის პოლიტბიუროს, ლ. ი. ბრეჟნევი ერთგულად გამოიჩინათ დიდი სიფიცხე და ნებისყოფა, მიეღოთ ბრძნული, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებანი, დაეხვეწათ ჩვენი აღმასვლის სტრატეგია და ტაქტიკა, გამოენახათ ურთულესი სიტუაციებიდან და ძნელი მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი, როცა ამ გზას კვალავდნენ.

უნდა ვიაროთ წინ, უნდა ვიყუროთ წინ! — მოგვიწოდებდა ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა ხალხი თავისი ავანგარდის — კომუნისტთა პარტიის წინამძღოლობით მიდის წინ, სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად, ღირსეულად ლაშქრავს ამ მწვერვალსაც.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით აღვუთქვა პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, რომელსაც სათავეში უდგას დიდი ლენინის საქმის ღირსეული და თანმიმდევარი განმგრძობი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომ ამ დიად ლაშქრობაში საქართველოს კომუნისტები, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი იქნებიან ავანგარდში მთელ პარტიასთან, ჩვენს სახელმწიფოსთან ერთად, ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად!

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ჟურნალისტი

საკავშირო და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

მიმართვა ხალხებს

ვარშავა. საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც აქ მიმდინარეობდა დეკემბრიდან „ადამიანს უფლება აქვს მშვიდობიანად იცხოვროს“, მიიღო მიმართვა პლანეტის ხალხებისადმი—გააძლიერონ მოძრაობა საყოველთაო მშვიდობისათვის. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ 30 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე მეცნიერები.

ჩვენ ზხვადასხვა იდეოლოგიის, საზოგადოებრივი სისტემის, სარწმუნოებისა და შეხედულების წარმომადგენლები ვართ, აღნიშნულია მიმართვაში, მაგრამ ყველას გვწამს ერთი რამ: განსხვავებანი ვერ შეიშლის ხელს ერთობლივ ბრძოლას მშვიდობისა და განიარაღებისათვის. მტკიცე, სამართლიანი და საყოველთაო მშვიდობა უტოპია კი არ არის, არამედ რეალური მიზანია, რომლის მიღწევა შეიძლება ყველა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა მიმართეს სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ჰელსინკის საბოლოო აქტს, და მოუწოდეს თანამიმდევრულად განახორციელონ ამ დოკუმენტის დებულებანი.

ირანის ხელისუფალთა ღონისძიებანი

თეირანი, 8 ივლისი. შაჰის გადრიის შტაბის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მე-2 განყოფილების ყოფილი უფროსის, ბრიგადის გენერალ პარნიანის დაპატიმრების შემდეგ აქ ყოფილი შაჰის რეჟიმის კიდევ რვა დიდი თანამდებობის პირი დაუპატიმრეს. მათ შორის არიან შაჰის არმიის კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ირანის არმიის კავშირისა და ვაშინგტონთან ატლანტიკურ ხელშეკრულებების შესრულებისათვის პასუხისმგებელი კორპუსის გენერალი ჯამალ თავაქოლი, კორპუსის გენერალი ნასერ ალავი მოადგილე, რომელიც სამხედრო მრეწველობას განაგებდა, აგრეთვე შაჰის ყოფილი საიდუმლო პოლიციის—სავაქის სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

თეირანი. ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა აქ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც ყველა ქალს, ვინც სახელმწიფო და მთავრობის დაწესებულებებში მუშაობს, აფრთხილებს, რომ დაუყოვნებლივ დაითხოვენ, თუ სამსახურში დასავლური ყაიდის ტანსაცმლით გამოცხადდებიან...

ორმხრივი მისწრაფება

საფრანგეთის პრეზიდენტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

ბონი. 8 ივლისი. აქ სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შეხვდება.

ამ მოლაპარაკების რაიმე ოფიციალური დღის წესრიგი არ გამოუცხადებიათ. მაგრამ, როგორც პრესა აღნიშნავს, მოლაპარაკებაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის მდგომარეობისა და პერსპექტივების განხილვას საბჭოთა კავშირ-საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ამასწინანდელი უმაღლესი დონის შეხვედრებისა და იმ ახალი ინიციატივის გათვალისწინებით, რომელიც სსრ კავშირმა გამოიჩინა საშუალო სიშორის რაკეტულ-ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით.

აქ უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტს, ხაზს უსვამენ იმ საგარეო-პოლიტიკური აქციების დიდ როლს, რომლებიც უკანასკნელ ხანს განახორციელა ორმა ქვეყანამ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგის განახლების მიზნით.

ჟ. შმიდტი და ვ. ჟისკარ დესტენი, წერს „გენერალ — ანცეიგერი“, სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ ამერიკის უნდობლობა სულაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა ხელმძღვანელობასთან დიალოგზე უარის თქმის საფუძველი.

„ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აქვეყნებს ჟისკარ დესტენის ინტერვიუს, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპზე და რომ „ატლანტიკური სოლიდარობა არამც და არამც არ უნდა იყოს დამონების სინონიმი“.

პარიზი. ბონში ვ. ჟისკარ დესტენის ჩასვლის წინ ელისეს სასახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიზიტის ძირითადი შინაარსი დაახასიათა როგორც საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი მისწრაფება „კვლავ დაუმკვიდრონ ევროპას როლი საერთაშორისო საქმეებში“.

სსრ კავშირის საელჩოს განცხადება

თეირანი, 8 ივლისი. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პრეს-ატაშემ საელჩოს განცხადება გადასცა ირანის ოფიციალურ ფარსის საagენტოს, რადიოსა და ტელევიზიას.

„არის ცნობები, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრული ელემენტები აპირებენ განახორციელონ პროვოკაციული მოქმედება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს წინააღმდეგ, კერძოდ, ხელში ჩაიგდონ იგი. ასეთი მოქმედების მიზანია ზიანი მიაყენოს სსრ კავშირისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. საელჩო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირანის სხვა კომეტენტურ ხელისუფალთა ყურადღებას მიაპყრობს ასეთი მოქმედების საშიშ ხასიათს და მოითხოვს, რომ მათ იხმარონ ყველა საჭირო ღონისძიება რომელიც გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას“.

თეირანი, 8 ივლისი. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყოთბზადემ, შეეხო რა ცნობებს სსრ კავშირის თეირანის საელჩოს შესაძლო ხელში ჩაგდების შესახებ, ფარსის საagენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს აცნობებს (იგულისხმება სსრ კავშირის თეირანის საელჩოს განცხადება. კორ. შენიშვნა) ორშაბათს დილით და, რომ ირანის უშიშროების ორგანოებს მიეცათ საჭირო განკარგულება იხმარონ დამატებითი ღონისძიებანი საბჭოთა საელჩოს, ისევე როგორც თეირანის უცხოეთის სხვა საელჩოების უშიშროების უზრუნველყოფისათვის. მან ხაზი გაუსვა, რომ უცხოეთის წარმომადგენლობებს ირანში უნდა იცავდნენ ისევე, როგორც ირანის საელჩოებს საზღვარგარეთ.

გადაჭრით მოითხოვენ

ჯაკარტა, 8 ივლისი, იამაიკის მუშათა პარტიამ გადაჭრით მოითხოვა გააძევონ ქვეყნიდან ამერიკის საელჩოს 15 თანამშრომელი — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები.

დედაქალაქ კინგსტონში პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, ნათქვამია, დიპლომატიური სტატუსით შენიღბული ეს აგენტები აპირებდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მ. მენლის მოკვლას, გეგმავდნენ ტერორისტული აქციების მთელ სერიას.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც მან სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატიური მისიების ნიღბით გაანაღა, ნათქვამია დოკუმენტში, ჩილეს, ანგოლის, ირანის თითითანმბით სატრიოტი შეეწირა. ამერიკელი „დიპლომატები“ ამზადებდნენ თავდასხმას კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანზე, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე ფიდელ კასტროზე. იამაიკის მუშათა პარტია მრისხანედ გმობს ქვეყანაში იმ მემარჯვენე ძალების ხრიკებს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ მიჩქმალონ ამერიკელი ჯაშუშების ბინძური საქმეები.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

8 ივლისი

● **ლისაბონი.** პორტუგალიის შესვლა „საერთო ბაზარში“ გარდუვალად გამოიწვევს ქვეყნის ათასობით წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა გაკოტრებას. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ქალაქ ავეირუში მიმდინარე კონფერენციის მონაწილენი, რომელიც ხოფლის მეურნეობის ეროვნულმა კონფედერაციამ მოაწყო.

● **ამანი.** იორდანიის დედაქალაქში გაიხსნა არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების კონფერენცია. მისი მონაწილენი განიხილავენ არაბულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს და მომამზადებენ არაბული ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ნოემბერში დანიშნული თათბირის მუშაობის პროგრამას.

● **ანკარა.** სასწავლო პროგრამების გადახინჯვა იმ მიზნით, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ეროვნული განვითარების ამოცანებს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში — ასეთია ძირითადი თემა თათბირისა, რომელიც სენეგალის დედაქალაქში გაიხსნა.

ფოტოინფორმაცია

ქვეყნად მშვიდობისათვის

იაპონიის პროგრესული საზოგადოებრიობა დღითი დღე აძლიერებს ბრძოლას მშვიდობისათვის. ამერიკის ავიაციის მიერ ქალაქების ხიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული დაბომბვის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი მშვიდობის მარშის მონაწილენი მოითხოვენ ატომური იარაღის მოსპობას.

● ●

სურათზე: მშვიდობის მარშის მონაწილენი.

ჯაპან პრესსაკლუბი“ ფოტო.

ზეიმი

მეცხვარის დღე ლენინგორში

ქსნის ხეობაში შრომის დიდი დღესასწაული გაიმართა. ზეიმი ტრადიციულად დოღით დაიწყო. უკანამხარელები, ბალანელები, ლარგვისელები, ლენინგორელები ცხენთა ჭენებაშიც შეეჯიბრნენ. მერე მთელი ხეობის ხალხმა ლენინგორის კულტურისა და დასვენების პარკს მიაშურა. საგანგებოდ, ორიგინალურად მოურთავთ პარკი. ცხვრის ტყავებზე ცხვარმეცხვარის სადიდებელი სიტყვები წერია.

მთელი წლის უნახავი მწყემსები მეგობრებს გულში იკრავენ, ჭოხის წინ მოწყობილ ტაბლაზე ეპატიჟებიან ერთმანეთს. ირგვლივ მუსიკის სამო ჰანგები იფრქვევა.

ლენინგორელ მეცხვარეთა ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, მეორე მდივანი ნ. ოდიშვილი, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ცხინვალის, ჯავისა და ზნაურის რაიონების დელეგაციები.

— ლენინგორი ტრადიციულ მეცხვარის დღეზე მოსული სპატიო სტუმრების ბედნიერი და წელგამართული მასპინძელია. — თქვა სახეიმო მიტინგზე პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. თინიკაშვილმა.

წელს საამაყო და სათქმელი მართლაც აქვთ ლენინგორელებს. ისინი ისწრაფიან წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები მეცხვარეობის განვითარების დარგში. აქამადე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 117.230 სული ცხვარი ჰყავთ, გეგმაზე 30.670-ით მეტი. სახელმწიფოს წლის პირველ ნახევარში 366 ტონის ნაცვლად მიეყიდა 423 ტონა ხორცი. ყოველ 100 ნერგზე მიღებულია 94 ბატკანი და ითითოეულ ცხვარზე იანვრის სულადობაზე გაანგარიშებით — 1,7 კილოგრამი მატყლი, საზოგადოებრივი ცხვრის სულადობას შეემატა 40.500 ბატკანი და წარმოებულია 243 ტონაზე მეტი ხარისხოვანი მატყლი. მატყლის მიღებისა და წარმოების ასეთი მაჩვენებელი არასოდეს ჰქონია რაიონს. ამრიგად დაძლეულია მეათე ხუთწლედის მიჯნები.

ზეიმზე განსაკუთრებული ქებით მოიხსენიეს ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის, ლარგვისისა და ბალანის კოლმეურნეობების მეცხვარეები, რომლებმაც თავდადებით იშრომეს ცხვრის გამოზამთრებისათვის.

ახლა ცხვარი მშობლიურ მთებში ლაღობს, მალე დაიწყება ცხვრის მეორე პარსვა და მერე კვლავ კასპისპირეთში გამგზავრების თადარიგს შეუდგებიან. მშობლიური კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის შესახვედრად ახალი შრომითი მიღწევებისათვის მკლავშემართული იბრძვიან ლენინგორელი მეცხვარეები. მამაცი ადამიანები ახალ ზღუდეებს დაპაყრობენ. ეს რწმენა ჰქონდა ყველას, ვინც კი ზეიმს ესწრებოდა.

დიდება თქვენ, ჩვენო სახელოვანო მეცხვარეებო, გიმრავლოთ ცხვარი და ბატკანი, აკაცურკაცობა და სახელი! — ასე ლოცავდნენ ზეიმზე შრომაში გამარჯვებულ ადამიანებს და კიდევ იმათ, ვინც ამ დღესასწაულზე საზეიმოდ „მოინათლა“ მეცხვარედ. ზეიმი გვიანობამდე გაგრძელდა.

ბ. თოდუეიანი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სახალხო უნივერსიტეტი მესხეთში

ერუშეთის მთის ჩრდილოეთ კალთებზე მდებარეობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი საფარა. ეს არის არქიტექტურული ხელოვნების მთელი ანსამბლი საეკლესიო ნაგებობებით, ცხენკომკით, სასახლითა, ბერთა სენაკებით და სამეურნეო დანიშნულების მრავალი შენობით. მათ ცენტრში, ულრმესი ხრამის თავზე საოცარი სამშენებლო ოსტატობით მკვიდრად არის ჩამდგარი ჩუქურთმოვანი შემკულობით, წარწერებითა და ფრესკებით მდიდარი XIII საუკუნის დასასრულის ტაძარი, რომელიც ხუროთმოძღვარ ფარეზას ძეს სამცხის ათაბაგის ბექა მანდატურთ-უხუცესის ბრძანებით წმინდა საბას სახელზე აუგია.

მესხეთის სხვა სამონასტრო ძეგლებთან ერთად, საფარაც (რომლის ერთ-ერთი შენობა X საუკუნით თარიღდება), ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული და რელიგიური ცენტრი იყო, ამავე დროს ჯაყელთა რეზიდენცია და საგვარეულო საძვალე. აქ მოღვაწეობდნენ არსენ, გრიგოლ და იოანე საფარელები, საოვთისმეტყველო წიგნების სხვა შემდგენელ-გადამწერნი თუ მქადაგებელ-განმანათლებელნი.

დღეს საფარა და მისი წარმტაცი ტაძიანი გარემო სანდოდ არის დაცული და ახალციხის რაიონში ერთ-ერთ საუკეთესო დასასვენებელ სავანედ არის მინნეული, რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ეს „საუკუნეთა მოდარაჯე“ ისტორიული ადგილი ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

ამ დღეებში საფარის მთავარი ტაძრის თაღებქვეშ თავი მოიყარეს მესხეთის რაიონის მშრომელებმა. საზეიმო ვითარებაში აქ გაიხსნა საფარის სახალხო უნივერსიტეტი. საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ქაჯაიამ წარმოთქვა შესავალი სიტყვა და მიუღოცა დამსწრეთ ეს ღირსსახსოვარი დღე. მან სიტყვა მისცა უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოსს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს ვ. ბერიძეს, რომელიც წლების განმავლობაში გულდასმით სწავლობდა სამცხის ისტორიულ ძეგლებს და საფარაზე ვრცელი გამოკვლევა აქვს დაწერილი.

მისი გამოსვლის შემდეგ მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა ზ. ჭიმბარიძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ფარეზაძემ, მწერალმა გ. ზედგინიძემ და სხვ.

ი. მაისურაძე,

საფარის სახალხო უნივერსიტეტის სწავლული მდივანი.

ქრებული კომპოზიტორზე

ყოველ მუსიკალურ ფორუმზე თუ მუსიკაზე ზოგადად მსჯელობისას, სისტემატურად აღინიშნება ხოლმე ქართული მუსიკათმცოდნეობის ერთგვარი პასუხისმგებლობა. რეალურად ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვის შეტანა ძნელია, მაგრამ ნაწილობრივ ამ მოელენას თავისი ობიექტური მიზეზებიც აქვს — სპეციალური ბეჭდვითი ორგანოს უქონლობა.

სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის შეკვეთით გამომცემლობა „ხელოვნებას“ მიერ რუსულ ენაზე დასტამბული წიგნი „ანდრია ბალანჩივაძე“ —სტატიებისა და მასალების კრებული, რომელიც გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დაბადების 70-ე წლისთავს მიეძღვნა. კრებულის შემდგენელი და რედაქტორია ჭესიკათმცოდნე რუსუდან წურწუმია, გამომცემლობის რედაქტორი—მ. ელბაქიძე.

რ. წურწუმიას კრებული ასეთი ტიპის ლიტერატურის მომზადების პირველი ცდაა ჩვენში. წიგნი სამ ძირითად მონაკვეთს შეიცავს. მასში შეგიდია როგორც ანალიზური მასალები გ. ორჯონიკიძის, რ. წურწუმიას, ა. როსანოვის, ნ. ბაძისაშვილის სტატიები, ისე ანდრია ბალანჩივაძის ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც ლიტერატურულად დაამუშავა გ. ტორაძემ, და ა. შავერზაშვილის ნარკვევი „ბალანჩივაძე — პედაგოგი“.

კრებულში დაბეჭდილია აგრეთვე დ. შოსტაკოვიჩის, ა. ხაჩატურიანის, კ. ხრენიკოვის, შ. შმელინის, ო. თაქთაქიშვილის, ყ. ყარაევის, ა. ეშპაის, მ. დრუსკინის, ვ. გოროდინსკის, ს. ცინცაძის, ა. ჩიმაკაძის, ბ. კერნაძის, ს. ნასიძის, ჯ. ყანიძის, გ. ყანჩელის, ე. სანაძის მოგონებები და ნარკვევები.

მ. კორძაია.

ინტერვიუ მსოფლიო სამეცნიერო კონგრესის წინ

ოლიმპიადის პრელუდია

ხვალ თბილისში მუშაობას იწყებს მსოფლიო სამეცნიერო კონგრესი — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“. კონგრესი 16 ივლისამდე გასტანს, სამი დღის შემდეგ კი მოსკოვში XXII ოლიმპიადის ცეცხლი აბრიალდება. ასე რომ თბილისის კონგრესი ერთგვარი პრელუდია იქნება მოსკოვის საოლიმპიადო სტარტების წინ. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დ. პერტენავას. ქვემოთ გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს:

— **ამგვარი კონგრესი პირველად ეწყობა, თუ მას რაიმე გარკვეული ტრადიცია აქვს?**

— თბილისის კონგრესი რიგით მეექვსეა. პირველად იგი 1960 წელს, რომის ოლიმპიადის წინ გაიმართა და მას შემდეგ მსგავსი კონგრესების მოწყობა ტრადიციად იქცა.

ამგვარად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლითაც დაიწყება მოსკოვის XXII ოლიმპიადა, არის მორიგი მსოფლიო სამეცნიერო კონგრესი — „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“. სსრ კავშირში მისი გამართვის გადაწყვეტილება მიიღეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საერთაშორისო საბჭოს აღმასკომის (სიპას) სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ეგვიპტის, კუბის, ლიბანის, პოლონეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა კონგრესის მოწყობის ადგილად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი აირჩია. ეს უთუოდ დიდი ნდობაა და ჩვენ თავს არ დავზოგავთ იმისათვის, რომ კონგრესმა ორგანიზებულად, კარგად და მაღალ დონეზე ჩაიაროს.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტისა და ფიზიკურ კულტურის შესახებ მეცნიერების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სამეცნიერო და საქმიან კონტაქტებთან, მსოფლიოს წამყვან მეცნიერებთან თანამშრომლობის გაფართოებასთან, ურომლისოდაც ალბათ წარმოუდგენელია სპირტის, სპორტული მიღწევებისა და შედეგების პროგრესი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენება სპორტული ოსტატობის ამაღლების ახალ, უფრო ფართო შესაძლებლობას ქმნის, საშუალებას იძლევა ყოველმხრივ დაიხვეწოს სპორტული მიღწევების მართვის მეთოდები — დაწყებული პედაგოგიური მართვის პროცესით და ქვეყნის მასშტაბით სპორტის სისტემის ხელმძღვანელობით დამთავრებული.

სწორედ ამიტომ მსოფლიო სამეცნიერო კონგრესის ჩარჩოებში აქტიური, საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტები და დიალოგები იქნება მნიშვნელოვანი რგოლი ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ცოდნის გაღრმავების საქმეში, მნიშვნელოვანი ეტაპი მისი შემდგომი განვითარების გზაზე.

ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას კონგრესის ორგანიზაციასა და მის გამართვას, სიპასის აღმასკომმა დაამტკიცა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი სიპასის პრეზიდენტის რ. ბანისტერის (დიდი ბრიტანეთი) თავმჯდომარეობით. საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. ივონინი და ვ. მ. იგუმენოვი, სიპასის ვიცე-პრეზიდენტი ფ. ლანდრი (კანადა), გერმანიის